სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი № 1

ქ. თბილისი 08.01.2019

სააპელაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **ნოდარ პაპუკაშვილი** - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი“, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე

2. **ზურაბ გასიტაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **დევი ხვედელიანი** - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი (სააპელაციო საბჭოს მდივანი).

4. **გრიგოლ ტატიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფაელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მეცნიერ - თანამშრომელი;

5. **ეკა ლეფსვერიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

6. **თინათინ კაიშაური** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ - კორესპონდენტი;

7. **გიორგი სალუქვაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის,

ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი

8. **თამარ ბაღდავაძე** - შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს სკოლა ქართული

რაჟდენ ხიმშიაშვილი - სკოლის იურისტი

4. სხვა დამსწრე პირები:

1. **დავით მალაზონია** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^4-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააპელაციო საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ პაპუკაშვილი.

სხდომა გაიხსნა 17:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ქართულის სააპელაციო საჩივრის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს სკოლა ქართულის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სკოლის წარმომადგენელს. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ სკოლამ გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულება და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავდა გადასვლას ახალ შენობაში, რითაც მოიხსნებოდა ის ძირითადი პრობლემა, რამაც გამოიწვია სკოლის ავტორიზაციის გაუქმება. მან ასევე განაცხადა, რომ სკოლამ გამოასწორა ლაბორატორიასთან დაკავშირებული ხარვეზი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა წარმოდგენილი ჰქონდა თან.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რა ნაწილში არ ეთანხმებოდა სკოლა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, თუ კი ავტორიზაციის საბჭომ მიიღო სკოლის ავტორიზაციის საბჭოს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მოსწავლეების უსაფრთხოებიდან გამომდინარე და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის პირველი იანვარი, რატომ არ შეიძლებოდა სკოლისთვის ფუნქციონირების საშუალება მიეცათ სასწავლო წლის ბოლომდე. მოსწავლეთა უსაფრთხოება ზუსტად ისევე იქნებოდა დაცული ივნისამდე, როგორც დეკემბრამდე.

სააბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა და განაცხადა, რომ მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე საბჭომ გადაწყვიტა მოსწავლეებისთვის მიეცათ სემესტრის დამთავრების საშუალება, ამასთან, საბჭომ ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, რომ ცენტრს მიემართა შესაბამისი სამსახურებისთვის, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველეყოთ უსაფრთხოების დაცვა, ამ გადაწყვეტილების

გამოქვეყნებიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე. ცენტრმა გაითვალისწინა საბჭოს შუამდგომლობა და განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ სკოლას დაგვიანებით ჩაბარდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და ასევე დარღვეული იყო ავტროიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ატვირთვის ვადები.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ დასკვნის ჩაბარება და გადაწყვეტილების ატვირთვა მოხდა ვადების დაცვით და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინა საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს დავით მალაზონიას. დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ საბჭოსთვის არ იყო მარტივი გადაწყვეტილების მიღება სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შედეგის დადგომამდე დაწესებულებას 2 - ჯერ მიეცა შანსი, გამოესწორებინა მოსწავლეების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზები, თუმცა ბოლო ვიზიტის დროსაც სკოლაში არ იყო გამოსწორებული ის ძირითადი ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა სასწავლო პროცესის პერიოდში მოსწავლეების იზოლირებას გარეშე პირებისგან. ასევე, სკოლას ერთ ოთახში ჰქონდა მოთავსებული სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი და ვიდეოკამერების ჩანაწერების კონტროლის ოთახი, რაც ასევე სტანდარტის დარღვევა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:00 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 18:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრემბა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ქართულის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე - 3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^7 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს სკოლა ქართულის (ს/კ445387778) ავტორიზაციის საკითხი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებულ მხარეებს და მოკლედ შეაჯამა სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. მისი თქმით საბჭომ იმსჯელა და გაითვალისწინა სხვადასხვა გარემოებები, რის საფუძველზეც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება. მათ შორის, საბჭოს წევრები ორიენტირებულები იყვნენ სკოლების განვითარებაზე და მათ ხელშეწყობაზე, მითუმეტეს როდესაც სკოლა მდებარეობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მნიშვნელოვანი იყო ქართული კონტიგენტის სკოლების სიმრავლე, ასევე საბჭო ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ბათუმის საჯარო სკოლებში შეზღუდული იყო თავისუფალი ადგილების რაოდენობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:50 წუთზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

დევი ხვედელიანი